ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 06

"30"აპრილი" 2017 წელი

ქ. ბათუმი

ერთის მხრივ სსიპ სოფელ ჟანივრის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შემსრულებლის დარეჯან ტაკიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „კონსული"(შემდგომში - მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საოფისე საქონელი მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით (შემდგომში – საქონელი) (CPV კოდი: 22800000).

## ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენ 2850(ორიათასრვაასორმოცდაათი ) ლარს.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 **კალენდარული დღის განმავლობაში.**

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს საამისოდ უფლებამოსილი პირი.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ საგადასახადო სასაქონლო ზედნადებისან/და ანგარიშ-ფაქტურისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: სოფელი ბათუმი.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება **2017 წლის 1 ივნისამდე,**

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

## 7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაჯარიმდებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 30 აპრილიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ სოფელ ჟანივრის საჯარო სკოლა
მისამართი; შუახევის მუნიციპალიტეტი
სოფელი ჟანივრი
საიდენტიფიკაციო კოდი: 247861522
ბანკი: სს ლიბერთი ბანკი- ბანკი"
ბანკის კოდი: 220101445
ა/ა: GE18LB0121110275836000

სოფელ ჟანივრის საჯარო სკოლის

დირექტორის მ/შ /დარეჯან ტაკიძე/

მიმწოდებელი
შპს კონსული
მისამართი: ბათუმი ბაღის ქუჩა N8

საიდენტიფიკაციო კოდი: 447861779

ბანკი: საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა: GE95BG0000000581969300

დირექტორი /ნ.ქათამაძე/

მიღება-ჩაბარების

ქ. ბათუმი 17" "ივნისი" 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს ,,კონსული''' მისი წარმომადგენლის ნინო ქათამაძის (შემდგომში - „ჩამბარებელი"), ხოლო მეორეს მხრივ სსიპ ჟანივრის საჯარო სკოლა, მისი წარმომადგენლის, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დარეჯან ტაკიძის სახით (შემდგომში - „მიმღები") ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ „ჩამბარებელმა" ჩააბარა, ხოლო „მიმღებმა" მიიღო, 2017 წ 30 აპრილს N06 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი და მომსახურება.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგება ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

ჩააბარა: მიიღო: სოფელი ჟანივრის საჯარო სკოლის

დირექტორი: /ნ ქათამაძე/ დირექტორის მ/შ /დარეჯან ტაკიძე/

ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ ფორმა № 3

**ივსება მიმწოდებლის მიერ**

| № | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი ( ლარებში) | საერთო ფასი ( ლარებში) | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კასა | ცალი | 2 | 1425 | 2850 | ბათუმი |
| 2 | | | | | | |
| 3 | | | | | | |
| 4 | | | | | | |
| 5 | | | | | | |
| 6 | | | | | | |
| 7 | | | | | | |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |
| 11 | | | | | | |
| 12 | | | | | | |
| 13 | | | | | | |
| 14 | | | | | | |
| 15 | | | | | | |
| 16 | | | | | | |
| | საერთო ჯამი | | | | 2850 | |

დირექტორი: /ნ.ვათამაძე/ დირექტორის მ/შ /დარეჯან ტაკიძე/